



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 153

2011 წლის 10 ნოემბერი  
ქალაქი ხაშური



### ქსეროქსის აპარატის Canon iR2016j (2 ცალი) შეკეთების მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 26 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110027283) და 1 ნოემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110027704) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის ქსეროქსის აპარატის Canon iR2016j (2 ცალი) შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 31 ოქტომბერს და 4 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ხაშურის მუნიციპალიტეტის ქსეროქსის აპარატის Canon iR2016j (2 ცალი) შეკეთების მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ქსეროქსის აპარატის Canon iR2016j (2 ცალი) შეკეთების მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

